საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/11521
07/12/2021

11521-15-15-2-202112070932

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით, შეისწავლა არასრულწლოვნების [redacted], [redacted] [redacted] და [redacted] საქმე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მათი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლ(ებ)ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა დისციპლინური წარმოების დაწყება.

ფაქტობრივი გარემოებები

- *სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*

2021 წლის 11 მაისს, სოციალური ქსელი Facebook-ის საშუალებით, მოქალაქე [redacted] გაავრცელა ინფორმაცია პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან

არასრულწლოვნების - [redacted], [redacted] და [redacted] - მიმართ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების შესახებ.[1]

[redacted] მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ბათუმში, [redacted] მდებარე სუპერმარკეტ [redacted], პოლიციის თანამშრომლებმა მანქანაში ჩასვეს 13, 14 და 17 წლის ბავშვები, რომლებზეც მათივე მხრიდან განხორციელდა იარაღით ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა. მუქარის შემდეგ ბავშვები დატოვეს ახალ ბულვარში, მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2021 წლის 11 მაისს, სახალხო დამცველის რწმუნებული დაუკავშირდა [redacted], რომელმაც დაადასტურა სოციალური ქსელის საშუალებით მის მიერ გავრცელებული გარემოებები და აღნიშნა, რომ 2021 წლის 11 მაისს, დაახლოებით 06:00 საათზე, მოძრაობდა აეროპორტიდან ბათუმის მიმართულებით. ახალი ბულვარის ტერიტორიაზე დაემგზავრნენ არასრულწლოვნები, რომლებმაც განმარტეს, რომ პოლიციის თანამშრომელმა ჩაისვა მანქანაში სამივე არასრულწლოვანი, წაიყვანა ახალი ბულვარის ტერიტორიაზე, გზაში ემუქრებოდა იარაღით მუხლებისა და კოჭების დახვრეტით.[2]

სახალხო დამცველის აპარატთან ერთ-ერთი არასრულწლოვნის [redacted] დედამ - [redacted] განმარტა, რომ მისმა შვილმა მოუყვა პოლიციელების მხრიდან იარაღზე აპელირების ფაქტი, რის გამოც ბავშვები იყვნენ შეშინებულები. ასევე, [redacted] მიუთითა, რომ მას ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია საპატრულო პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან, რომელმაც უარყო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მსგავსი ქმედების არსებობა.[3]

დამატებით, ჟურნალ [redacted] მიერ, 2021 წლის 11 მაისს, გავრცელდა სტატია, რომლის თანახმად, არასრულწლოვანი განმარტავს, რომ 2021 წლის 11 მაისს, დილის საათებში, პოლიციის თანამშრომელმა ის და თავისი მეგობრები იძულებით ჩასვა მანქანაში, ემუქრებოდა მათ მუხლების დახვრეტით, იყო აგრესიული, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, გამოართვა მობილური ტელეფონი და შეამოწმა მისი სხვადასხვა სოციალური ქსელი. არასრულწლოვნის განმარტებით, მანქანით ქალაქს რამდენიმეჯერ დაარტყეს წრე და შემდეგ ახალ ბულვარში, ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზე დატოვეს.[4]

ამავე სტატიის თანახმად, არასრულწლოვანი ასევე მიუთითებს, რომ იმავე პოლიციის თანამშრომლის მხრიდან მათ მიმართ იარაღით მუქარას ადგილი ჰქონდა ასევე 2021 წლის 10 მაისს, ღამის საათებში.

---

[1] ხელმისაწვდომია: < https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1872920089524282&id=100004189276631 > (ბოლოს ნანახია 25.10.2021).

[2] ბავშვის სავარაუდო უფლების დარღვევის შესახებ 2021 წლის 11 მაისის ოქმი N2087-21.

[3] იხ. იქვე.

[4] სტატია ხელმისაწვდომია: < https://batumelebi.netgazeti.ge/news/344257/> [ბოლოს ნანახია: 13.10.2021].

არასრულწლოვანთა მიერ დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, იმავე დღეს, 2021 წლის 11 მაისს, ეცნობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ცხელი ხაზის მეშვეობით.

- *სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებული წინასაგამოძიებო საქმე*

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.[5]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის შეტყობინების საფუძველზე, 2021 წლის 13 მაისს, კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით შედგა გასაუბრება [redacted] რომელმაც განაცხადა, რომ მას და მის მეგობრებს - [redacted] და [redacted] პოლიციის თანამშრომლებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განმარტებით, ვინაიდან, [redacted] მიერ მიწოდებული ინფორმაციით არ გამოიკვეთა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა. [redacted] მიერ მიწოდებული გარემოებების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას.[6]

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიმართვის[7] საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა გენერალურ ინსპექციას.[8]

გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურიდან, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე, სამინისტროს მოსამსახურეების - [redacted] და [redacted] ახსნა-განმარტებებით, შინაგან საქმეთა

---

[5] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 13 მაისის N15-15/4575 წერილი.
[6] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 18 მაისის NSIS 3 21 00010866 პასუხი.
[7] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 22 ივნისის N13/37258 პასუხი.
[8] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 24 მაისის N15-15/4919 წერილი.

სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[9]

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[10]

წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ 2021 წლის 11 მაისს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორმა, [redacted] NMIA 1 21 01177188 პატაკით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს, „TV პირველის" მიერ გავრცელებულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბათუმის პოლიციის [redacted] განყოფილების თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ შესაძლო სიტყვიერი შეურაცხყოფის და მუქარის ფაქტებს.

იმავე დღეს, 2021 წლის 11 მაისს, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის [redacted] განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს, [redacted] და [redacted], ხოლო 2021 წლის 12 მაისს - [redacted].

[redacted] და [redacted] ახსნა-განმარტებების თანახმად, 2021 წლის 11 მაისს, გამთენიისას, გადაადგილდებოდნენ სამსახურებრივი ავტომობილით (სახ. ნომრით [redacted] ქ. ბათუმში, [redacted] მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნეს [redacted], [redacted] და [redacted]. ისინი უარყოფენ ყოველგვარ ექსცესს, მათ შორის ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფას და მუქარას, არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის დროს, და აღნიშნავენ, რომ [redacted] და [redacted] თავად სთხოვეს ახალი ბულვარის ტერიტორიაზე გაყვანა და საკუთარი ნებით ჩასხდნენ პოლიციის სამსახურებრივ მანქანაში. ხოლო [redacted] განმარტებით, მას მხოლოდ 2021 წლის 10 მაისს, დაახლოებით 23:00 საათზე, ჰქონდა შეხება მითითებულ არასრულწლოვნებთან, ქ. ბათუმში, [redacted], რა დროსაც მათი მხრიდან ბავშვების მიმართ სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

სამსახურებრივი შემოწმების მასალების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას და გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში არსებული ინფორმაცია [redacted], [redacted] და [redacted] მიმართ თავისუფლებად გადაადგილების უფლების სავარაუდო შეზღუდვის ფაქტთან

---

[9] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 15 ივნისის N MIA 7 21 01523279 წერილები.

[10] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 30 ივნისის N15-15/6356 წერილი.

დაკავშირებით.[11] თუმცა პროკურატურიდან მიღებული ინფორმაცია წარმოდგენილ მასალებში არ მოიპოვება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, გენერალური პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმაც მიმართა გენერალურ პროკურატურას.[12] პროკურატურის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან მიღებული კორესპონდენცია, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.[13]

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სამსახურებრივი შემოწმების მასალებით, ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის [redacted] განყოფილების თანამშრომლებისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გარდა, სხვა მოქმედება ჩატარებული არ არის.

სამართლებრივი დასაბუთება

- *გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრინციპები*

საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა პოლიციელს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.[14]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს.[15]

პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[16]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო

---

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 25 მაისის NMIA 7 21 01309510 მიმართვა.
[12] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 24 მაისის N15-15/4920 წერილი.
[13] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 22 ივნისის N13/37258 წერილი.
[14] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხლი 8, პუნქტი 1.
[15] იხ. იქვე, მუხლი 9, პუნქტი 1.
[16] იხ. იქვე, მუხლი 8, პუნქტი 2.

ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.[17]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[18]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის კომპეტენცია მოიცავს, ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.[19]

მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფართო სპექტრისა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაზრდილი მომართვიანობაც ადასტურებს.

სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.[20]

---

[17] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების" დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ბ".
[18] იხ. იქვე, მუხლი 9, პუნქტი 2.
[19] იხ. იქვე, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ[2]".
[20] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

- *წინამდებარე საქმის ანალიზი*

წინამდებარე საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილი და მიკერძოებულია, რადგან ინსპექცია მხოლოდ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის [redacted] განყოფილების სამი თანამშრომლის გამოკითხვით შემოიფარგლა და გადაწყვეტილების მიღების დროს, მათგან მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო. ცხადია, მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება ობიექტური და რეაგირების გარეშე ტოვებს მთელ რიგ საკითხებს, რის შესახებაც გენერალური ინსპექცია ინფორმაციას ფლობდა სხვადასხვა წყაროდან.

გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით რიგი საკითხები ღიად და განუხილველად არის დატოვებული, არ არის მოპოვებული ერთი ნეიტრალური მტკიცებულებაც კი, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა პოლიციის თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. უფრო მეტიც, გენერალურ ინსპექციას, არ ჰქონია მსგავსი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. კერძოდ:

- კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად არ არიან გამოკითხულნი სავარაუდო უფლებადარღვეული პირები [redacted] [redacted] და [redacted] [redacted];
- არ არის გამოკითხული პირი ([redacted]), რომელსაც პირველად ჰქონდა შეხება სავარაუდო უფლებადარღვეულ პირებთან და წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;
- არც ზემოხსენებულ პირებთან კომუნიკაციის მცდელობა ან მათ მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის ფაქტი დგინდება;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან არ არის გამოთხოვილი წინასაგამოძიებო საქმის მასალები;
- არ არის მოპოვებული ინფორმაცია პოლიციის თანამშრომელთა ან სამსახურებრივი ავტომობილის ვიდეო კამერით აღჭურვის ან/და მათი გამოყენების შესახებ;
- არ არის მოპოვებული ინფორმაცია პოლიციის სამსახურებრივ მანქანაზე GPS მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, ავტომობილის გადაადგილების მარშრუტის განსაზღვრის მიზნით;
- არ არის მოპოვებული გარე მეთვალყურეობის ვიდეო კამერების ჩანაწერები, სადაც შესაძლოა ასახული ყოფილიყო პოლიციის თანამშრომელთა და არასრულწლოვანთა კომუნიკაცია და გადაადგილება. არც მსგავსი ვიდეო კამერების არსებობის გადამოწმების ფაქტს ჰქონია ადგილი;
- სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ, არ არის მომზადებული შესაბამისი დასკვნა;[21]
- მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულნი ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ.[22]

სამსახურის თანამშრომლების მიმართ", ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf > [13.10.2021].

[21] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების" დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხლი 9, პუნქტი 5.

[22] იქვე, მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ".

უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილია. გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, რაც წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური წარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლ(ებ)ის მიმართ, რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი